ISSN 1512-1801

The 2nd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

პროექტული სწავლების როლი აღზრდაში

ნათია კალანდაძე
ქ.ქუთაისის №15 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ანოტაცია

აუცილებელია დადგინდეს მიზეზი იმისა, თუ რატომ აღიქვამენ უმეტესად მოსწავლეები მასწავლებელს როგორც უცხოს, გარეშეს. ისინი ადვილად იღლებიან, უმეტესად მოდუნებულები არიან, უჭირთ მორჩილება (რაც შინაგანად არ მოდის მათგან). გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მათთან მუშაობისას გქონდეს რესურსი, იცნობდე ბავშვის ფსიქოლოგიას, გიყვარდეს და ზრუნავდე მათზე. პროექტებზე მუშაობისას რთული, დაუმორჩილებელი, კარჩაკეტილი, დეპრესიული ბავშვები თანდათან გარდაქმნას ახდენენ თავიანთ ხასიათში. პედაგოგს ამ დროს საკმაოდ დიდი სამუშაოს ჩატარება უხდება. მას უნდა ეყოს ძალა, რათა შუა გზაზე არ გაჩერდეს, არ ჩავარდეს დეპრესიაში. შედეგი რა თქმა უნდა უცებ არ გამოჩნდება, შეიძლება დრო დასჭირდეს, თუმცა საკმაოდ დიდია ამ საქმეში გამოცდილი, პროფესიონალი ადამიანების გვერდით დგომა, ზრუნვა მასწავლებლის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მოსწავლე, ეს არის ის ძალა, რომელიც სახელმწიფოს მომავალს განსაზღვრავს, ეს ხომ სრული ჭეშმარიტებაა, დათრგუნული, დეპრესიული თაობა სიკეთეს ვერ მოიტანს.მაგარამ მაშინ, როცა ისინი გააცნობირებენ, რომ შეუძლიათ შექმნან, მართონ და მიიღონ გადაწყვეტილება, მათ შინაგან სიმტკიცეს, თვითდაჯერებას განამტკიცებს. სკოლა პატარა სახელმწიფოა, სადაც თითოეულ მოსწავლეს თავისი მოვალეობა აკისრია. ამ ყველაფრის გაგება კი განსაკუთრებით შეუძლიათ პროექტული სწავლებით, ამ მეთოდის როლი ძალზე დიდია.

საკვანძო სიტყვები: *პროექტი, გაკვეთილი, სწავლა.*

ჩამოყალიბდე პიროვნებად, ეს არის ურთულესი პროცესი ადამიანის ცხოვრებაში, ამ ყველაფერს კი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, ზოგადად მის ირგვლივ არსებული გარემო.კაცობრიობის ისტორიაში ერთი უძველესი თემა, რომელიც არასოდეს გაცვდება, არის განათლება. მოსწავლე და მასწავლებელი - ეს ორი უმთავრესი საყრდენია, რომლებსაც აღზრდის ნებისმიერი სისტემა ეფუძნება. ვინ უნდა იყოს მასწავლებელი და რა მორალურ ფასეულობებსა და პროფესიულ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს იგი, რომ შეძლოს მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემა, თანაც შემოქმედებითად წაახალისოს იგი, რათა კაცობრიობის მრალფეროვანი "მეხსიერება" არა მხოლოდ სხვა "ჭურჭელში" გადაედინოს, არამედ ყოველ ახალ თაობაში დროისა და ვითარების შესაბამისი გამოძახილი ჰქონდეს. იცვლება დრო, განათლების პრინციპები, აღზრდის მეთოდები, მაგრამ მუდმივად რჩება დილემა: როგორ ვასწავლოთ, რათა სამყაროსა და საკუთარი თავის შემეცნებისკენ მიმავალი გზა მოსწავლისთვის იყოს

ISSN 1512-1801

მთავარი საფიქრალი, რომ მან შეძლოს დამკვიდრება იმ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურსა თუ კულტურულ გარემოში, რომელშიც უნდა იცხოვროს, როგორც თავისუფალმა პიროვნებამ. ცივილიზაციის განვითარებამ შექმნა სრულიად ახალი რეალობა, რომელიც მოსწავლისა და მასწავლებლისგან მოითხოვს ახალ ურთიერთობას როგორც ცოდნის მისაღებად, ასევე საზოგადოებაში საკუთარი ადგილის საპოვნელად და დასამკვიდრებლად. (**„შემოქმედებითობა და თავისუფლება", მაია ჯალიაშვილი, http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=527**)

პროექტული სწავლების მეშვეობით ცხოვრებისეული, რეალური კონტექსტისა და ტექნოლოგიების შემოტანა სასწავლო პროცესში, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გახდნენ დამოუკიდებელი პიროვნებები და კრიტიკულად მოაზროვნეები. მასწავლებლის მუშაობა მარტო საგაკვეთილო პროცესს არ გულისხმობს და წარმატებული პედაგოგი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც მოსწავლეებთან, ასევე ადმინისტრაციასთან, კოლეგებთან, მშობლებთან და თემთან. საგანმანათლებლო პროექტი ასეთი თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებაა. ამ დროს ხდება იდეების გაცვლა სხვა მასწავლებლებთან და საგნობრივ ექსპერტებთან, კომუნიკაცია მშობლებთან, საგაკვეთილო გარემოს მიღმა მოსწავლეებთან თანამშრომლობა და მათი მონაწილეობით გარკვეული წინსვლა. ეს ყველაფერი არღვევს იმ უხილავ ბარიერებს, რომლებმაც ჩაკეტეს მასწავლებელი საკლასო ოთახში. ეს კი, თავის მხრივ, მოუხსნის პედაგოგს შიშს მისთვის ახალი პროცესების მიმართ და გაუჩენს წარმატების შესაძლებლობის გრძნობას. პროექტული სწავლება არის ერთობლივი მუშაობის ფორმა, რომლის დროსაც გარკვეული ჯგუფის მუშაობა წარიმართება წინასწარ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და გარკვეული ფუნქციების დელეგირების პროცესში ყველა თავისი საქმის აღსრულების ხარისხზეა პასუხისმგებელი, მიღებულ შედეგში კი ყველას თანაბარი წვლილი მიუძღვის.

ტრადიციული სწავლება მიმდინარეობს დახურულ კარს მიღმა, ამ პროცესის მონაწილეთა თანხმობით. პროექტული სწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას გამოაღწიონ სასკოლო შენობის გარეთ. მოსწავლეები სწავლობენ თუ როგორ აკონტროლონ საკუთარი სწავლა, რაც საწინდარია იმისა, რომ შეძლებენ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ სკოლაში მიღებული ცოდნის გამოყენება სკოლის გარეთ - სახლში, თემში და სხვა. <u>ცოდნის ტრანსფერის</u> უნარი ყოველდღიურ გარემოში არის ძალიან მნიშვნელოვანი. კვლევები აჩვენებს, რომ ეს უნარი ვითარდება მაშინ, როცა სწავლისას გამოიყენება რეალური ცხოვრებისეული კონტექსტი. საჭიროა საგნის იდეების დაკავშირება სხვა საგნებთან და ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ამის ერთ-ერთი გზაა - პროექტული სწავლა. პროექტი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იმავდროულად მოახდინონ კავშირის დამყარება ნასწავლ შინაარსსა და მის გამოყენებას შორის.

ISSN 1512-1801

სასწავლო პროექტი არის კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებაზე მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარ–ჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული ქმედებისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. ნებისმიერ პროექტს გააჩნია რესურსები (ადამიანური, მატერიალურ–ტექნიკური და დროითი), რომლებიც წინასწარ არის განსაზღვრული პროექტის აღწერაში.

უკვე მეორე წელია, რაც სასწავლო–საგანმანათლებლო პროექტებზე ვმუშაობ. საწყის ეტაპზე პედაგოგისთვის აუცილებელია მოტივაცია, საჭირო რესურსები. ამ მიმართულებით აუცილებელია სკოლის დირექციის ყურადღება და გვერდით დგომა. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გარკვეულ ეტაპზე ნაბიჯის გადასადგმელად პროფესიის სიყვარულს, უნდა გრძნობდე და გაითავისო პასუხისმგებლობა, რომელიც გაკისრია საზოგადოების მიმართ. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი: ფინანსები. ვიდრე პროექტის განხორციელებას დავიწყებდი, დიდი გამოცდილება მომცა საკლუბო მუშაობამ, რამაც შემმატა თვითდაჯერება, რომელიც აუცილებელია ამ საქმის განსახორციელებლად.

როგორც პედაგოგი ვაკვირდები, რომ საჭიროა არა მხოლოდ კარგი გაკვეთილი, არამედ უფრო მეტი და ეძებ გზას მათი დაინტერესებისთვის, ამ დროს უაღრესად დიდ მინშვნელობას იძენს პროექტული სწავლება. გასულ წელს განხორციელებულ იქნა საგრანტო პროექტი **,,აქტიური სამოქალაქო საზოგადოება ჩვენი მომავალია!".** პროექტმა დიდი გამოცდილება მოგვცა როგორც მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებსაც. პირველ ეტაპზე, დაახლოებით 2 კვირის მანძილზე უჭირდათ გაეთავისებინათ დაკისრებული მოვალეობის პასუხისმგებლობა, თუმცა მათ მაინც შეძლეს ფუნქციების განაწილება და ერთმანეთან თანამშრომლობა. თვითონ ღებულობდნენ მონაწილეობას ამა თუ იმ ღონისძიების დაგეგმვასა და შესრულებაში. თანდათანობით განუვითარდათ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, მოეხსნათ კომპლექსი, ისწავლეს დისკუსიის სხვადასხვა ხერხები. განსაკუთრებით მოეწონათ ერთ–ერთი ფორმა: ,,მრგვალი მაგიდა", სადაც მოწვეული იყვნენ კომპეტენტური პირები, მოსწავლეები, არასამთავრობო ორგანიზაციები.(http://15skola.wordpress.com/)

დიდი მნიშვნელობა აქვს პროექტის თემის განსაზღვრას, გათვლას, თუ რამდენად რეალური იქნება მისი განხორციელება. პროექტში ჩართული იყვნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ გაკვეთილზე აქტიურობით, თუმცა აქ აჩვენეს საქმისადმი პასუხისმგებლობა და ურთიერთპატივისცემა, რაც ვფიქრობ უდაოდ მნიშვნელოვანია.

წელს უკვე ვახორციელებთ გრძელვადიან სასწავლო–საგანანმანათლებლო პროექტს **,,საქართველო დღეს" (saqartvelodges.wordpress.com)** პროექტი ითვალისწინებს თანამშრომლობას რეგიონის სკოლებთან, არასამთავრობოებთან, უნივერსიტეტთან. პროექტში სტუმრად მოვიწვიეთ ორი უცხოელი. მიმდინარე სასწავლო წელს ბავშვები განსაკუთრებული ხალისით ჩაერთვნენ პროექტში, დადებითად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მონაწილეობას იღებენ არა მარტო მასწავლებლები და მოსწავლეები, არამედ მშობლებიც. უკვე ვიმყოფებოდით რაჭაში, სადაც ერთად ვეცადეთ მოგვეძებნა თუ რა იყო

ISSN 1512-1801

პრობლემა და როგორ შეიძლებოდა მისი გადაჭრა. შექმნილია სპეციალური ჯგუფი სოციალურ ქსელში პროექტის სახელწოდებით. პროექტი განხორციელების ეტაპზეა. საგრანტო პროექტი **„ქართული ბიზნესი დღეს და ხვალ" (http://qartulibiznesi.wordpress.com/)** აღმოჩნდა საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი ჩვენს მუშაობაში, თითოეულმა აქტივობამ დიდი გამოცდილება მოგვცა ყველას, დაგვანახა ის თუ რა უნდა გავაკეთოთ მომავლში.

ვფიქრობ, რომ პროექტული სწავლება შედეგის მომტანია. მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტის თემის შერჩევაში, დაგეგმვაში, პრობლემის მართვაში, ასევე - მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების პროცესებში და რამდენად ეფექტიანად იყენებენ პროექტის მონაწილეები პროექტის გაფორმების, მონიტორინგის, შეფასებისა და თვითშეფასების სქემებს.

მოსწავლეთათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობა. აქ იკვეთება მოსწავლეთა განვითარების კონკრეტული მიმართულებები:

განვითარებაზე ორიენტირებული მოსწავლე. ასეთი მოსწავლე სიამოვნებით განავითარებს ახალ იდეებს და მზად არის, ახალი გზებით იაროს. მას არ უჭირს იდეებისა და წინადადებების განვითარება, ამიტომ ხანდახან სხვებში იწვევს მოუსვენრობასა და შფოთვას. რუტინა და ერთფეროვანი, მოსაწყენი საქმე ასეთ მოსწავლეებს არ უყვართ. ისინი კრეატიულები არიან და ყურადღებას აქცევენ ჯგუფში მრავალფეროვნებას. **თანამშრომლობაზე/ჯგუფზე ორიენტირებული** მოსწავლე სიამოვნებით მუშაობს სხვებთან ერთად და მზად არის კომპრომისისთვის. მისთვის მნიშვნელოვანია ჯგუფში კარგი თანამშრომლობითი ატმოსფერო, ამიტომ ხშირად თავს არიდებს მწვავე დებატებსა თუ დისკუსიებს.

ანალიტიკოსი მოსწავლე. ასეთი მოსწავლე მუშაობს საფუძვლიანად და ორგანიზებულად და სხვებისგანაც ამავეს მოელის, მას არ უყვარს სისწრაფე და გაურკვევლობა. ის საქმეს სკრუპულოზურად ეკიდება და ცდილობს, მოვლენები, საგნები ობიექტურად შეაფასოს.**(გრძელვადიანი სასწავლო კურსი სამოქალაქო განათლებაში, მოდული 3, 4; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, www.tpdc.ge)**

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უყალიბდებათ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. უცილებელია, მასწავლებელმა, როგორც ექსპერტმა იგრძნოს, თუ როდის არის ჩარევა საჭირო და როდის უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. სპეციალისტები მასწავლებლის ამ როლს უწოდებენ „მასწავლებელი, როგორც მონაწილე ხელმძღვანელი", ისინი იყენებენ ასევე ცნებას „ხელმძღვანელი მონაწილე" და ამით ნათელყოფენ, რომ მასწავლებელი ახდენს მოსწავლის პროვოცირებას მისი პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად იმისათვის, რომ მან შეიძინოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც გაუადვილებს პროექტზე მუშაობას: თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;

ISSN 1512-1801

კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის.იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება შეიძლება რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმი, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარები. (**„საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის– ევროპული ჩარჩო" –ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები; თბილისი 2006, გამოცემულია ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის** (CTC) მიერ.

პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მონიტორინგის მექანიზმი და პერიოდულობა - როგორ წარმოუდგენიათ პროექტში მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგის ჩატარება. შიდა მონიტორინგის დროს პროექტის განმხორციელებლები აფასებენ, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის (თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტში მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველ შედეგზე გასვლას. გარე მონიტორების მხრიდან პროექტის შუალედური შეფასებისთვის პროექტში ჩართულმა პირებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს აგრეთვე პროექტის წარმატებულ განხორციელებას. პროექტის საბოლოო შეფასება კი საშუალება აძლევს მის განმხორციელებლებს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები გაითვალისწინონ შემდგომ პროექტზე მუშაობისას.

პროექტული სწავლების მეთოდი განავითარებს გარკვეულ მიმართულებებს: პრაქტიკულად დაუკავშირდეს ერთმანეთს ცოდნა და უნარები, რაც ხელს უწყობს საკუთარი ძალების სასიკეთოდ რეალიზებას. აღნიშნული მიმართულება განათლებაში აყალიბებს შემდეგ უნარებს:

კვლევის უნარი: გაანალიზოს პრობლემური სიტუაცია, მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება, შეარჩიოს შესაბამისი ლიტერატურა, ჩაატაროს დაკვირვება მუშაობის პერიოდში, გააკეთოს ჩანაწერი და შემდეგ კი შედეგების ანალიზი, შექმნას ჰიპოთეზა, შეაჯამოს და გააკეთოს დასკვნები.

გუნდური მუშაობა: პიროვნების როლი, თანამშრომლობა.

კომუნიკაციის უნარი: არა მხოლოდ გამოხატოს თავისი თვალსაზრისი, არამედ მოუსმინოს, უგებდნენ ერთმანეთს შეუთანხმებლობის შემთხვევაში. ხელს შეუწყობს კონსტრუქციულ კრიტიკას ალტერნატიული მიდგომით, რათა იპოვოს გამოსავალი.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოსწავლემ შეძლოს სკოლაში სწავლისას დაინახოს თავისი ადგილი, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება.(**И.Ю. Малкова ,МЕТОД ПРОЕКТОВ, Методические материалы,Томск2006 http://www.edutopia.org/project-learning-schools-rally-together**)

ISSN 1512-1801

გამოყენებითი პროექტის მეთოდზე ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის ცნობილი ჩვენთან. უნდა შეიქმნას სპეციალური სახელმძღვანელოები ფსიქოლოგებთან, ექსპერტებთან, განათლების სპეციალისტებთან ერთად, სადაც ბავშვის როლი მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული და განსაზღვრული.

თანამედროვე პედაგოგიკაში მასწავლებელი არა მარტო კარგად უნდა ფლობდეს თავის საგანს, სწავლების მეთოდიკას, არამედ ის უნდა ფლობდეს ინფორმაციას უახლესი მონაცემების შესახებ.ცოდნის მიღების ახალმა გზებმა, ახალი საგანმანათლებლო მიზნები და საჭიროებები გამოკვეთა, რომელთა მიხედვით სკოლაში განათლების მიღებამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის ინდივიდუალური პოტენციის გამომჟღავნება.**(ბასილაძე ი, ძოწენიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.139)** პროექტის მეთოდი შეუძლებელია განვითარდეს მასწავლებლის, მშობლის, სკოლის დირექციის ხელშეწყობის გარეშე, მოსწავლე, რომელიც მომავალში სტუდენტი გახდება,უნდა შეიძინოს და გამოიყენოს ის ცოდნა და უნარები, რომლის მეშვეობით განსაზღვრავს და გადაწყვეტსს პრობლემებს რეალურად. მომავალში, როგორც სტუდენტს, ეცოდინება დაგეგმვა, გადამუშავება, წარდგენა პროექტების მეშვეობით. სტუდენტები გახდებიან საკმაოდ აქტიურები, მათთვის დამახასიათებელი იქნება ინოვაცია და კრეატიულობა, ამის საფუძველს ხომ ისინი სკოლიდან მიიღებენ.**(მეთოდი, ტექნიკა პროექტის მნიშვნელობაზე განათლებაში. Robert T .Hovell. Fort Hays სახელმწიფო უნივერსიტეტი.** http://scholar.lib.vt.edu/ejournals/JITE/v40n3/howell.html)

აღმზრდელობითი პროექტის შემუშავება ნიშნავს, პირველ რიგში, სწავლებისა და აღზრდის მიზნების გადატანას პედაგოგიურ ენაზე, მათ მაქსიმალურ კონკრეტიზაციასა და ეტაპობრივი რეალიზაციის დასაბუთებას. შემდეგი ნაბიჯი არის, აქტივობის შინაარსისა და ფორმების განსაზღვრა, რომლის განხორციელება მოსწავლეების მიერ უზრუნველყოფს უმნიშვნელოვანესი უნარების ჩამოყალიბებას. **(ბასილაძე ი, ძოწენიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.64).** პროექტით სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას. კარგი ხელმძღვანელი განაპირობებს იმას, რომ ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოს, მაშინაც კი, თუ ეს ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს. თუ კარგად დავაკვირდებით და ვარდისფერ სათვალეებს მოვიხსნით, აშკარად მივხვდებით იმას, რომ დღეს უმეტესწილად სკოლა მოსწავლეებისათვის, ეს არის ადგილი სადაც შეიძლება მიიღოს მხოლოდ ატესტატი. უნდა ვაღიაროთ, რომ მათთვის სრულიად არ არის ეს საინტერესო ობიექტი. მოსწავლე იძულებით ესწრება გაკვეთილს, ისიც საკითხავია თუ როგორი ხარისხის არის ის.(არსებობს მეტი ალბათობა იმისა, რომ არც კი უფიქრიათ თუ როგორია მისთვის მისაღები გაკვეთილი).სწორედ ეს არის დილემა, რაც არ უნდა უარვყოთ, ფაქტი მაინც ჯიუტია, დღეს აშკარად აქვს უმეტესად ადგილი უნდობლობას მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის, შეიძლება ვუწოდოთ ,,ხიდჩატეხილობის პრობლემა". ამ ყველაფერს უამრავი ფაქტორი განაპირობებს: ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლის შესასწავლად და პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია მოქმედების დაწყება. თანამედროვე სამყაროში

ISSN 1512-1801

თანდათან უფასურდება მორალი, ზნეობა, ახალი ტექნოლოგიები თავის გავლენას ახდენს, მისი როლი კი უმეტესად ურყოფითია. მაშინ, როცა გსურს ჩამოაყალიბო თავისუფალი, აქტიური მოქალაქე, მას სხვაგვარი გარემოც უნდა შეუქმნა, რათა პიროვნებად, ადამიანად, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად იგრძნოს თავი. ეს ძალზე მტკივნეული თემაა, აუცილებელია დადგინდეს მიზეზი იმისა, თუ რატომ აღიქვამენ უმეტესად მოსწავლეები მასწავლებელს როგორც უცხოს, გარეშეს. ისინი ადვილად იღლებიან, უმეტესად მოდუნებულები არიან, უჭირთ მორჩილება (რაც შინაგანად არ მოდის მათგან). გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მათთან მუშაობისას გქონდეს რესურსი, იცნობდე ბავშვის ფსიქოლოგიას, გიყვარდეს და ზრუნავდე მათზე. პროექტებზე მუშაობისას რთული, დაუმორჩილებელი, კარჩაკეტილი, დეპრესიული ბავშვები თანდათან გარდაქმნას ახდენენ თავიანთ ხასიათში. პედაგოგს ამ დროს საკმაოდ დიდი სამუშაოს ჩატარება უხდება, მას უნდა ეყოს ძალა, რათა შუა გზაზე არ გაჩერდეს, არ ჩავარდეს დეპრესიაში. თ შედეგი რა თქმა უნდა უცებ არ გამოჩნდება, შეიძლება დრო დასჭირდეს, თუმცა საკმაოდ დიდია ამ საქმეში გამოცდილი, პროფესიონალი ადამიანების გვერდით დგომა, ზრუნვა მასწავლებლის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მოსწავლე, ეს არის ის ძალა, რომელიც სახელმწიფოს მომავალს განსაზღვრავს, ეს ხომ სრული ჭეშმარიტებაა, დათრგუნული, დეპრესიული თაობა სიკეთეს ვერ მოიტანს.მაგარამ, მაშინ, როცა ისინი გააცნობირებენ, რომ შეუძლიათ შექმნან, მართონ და მიიღონ გადაწყვეტილება, მათ შინაგან სიმტკიცეს, თვითდაჯერებას განამტკიცებს. სკოლა პატარა სახელმწიფოა, სადაც თითოეულ მოსწავლეს თავისი მოვალეობა აკისრია. ამ ყველაფრის გაგება კი განსაკუთრებით შეუძლიათ პროექტული სწავლებით, ამ მეთოდის როლი ძალზე დიდია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ,,შემოქმედებითობა და თავისუფლება" , მაია ჯალიაშვილი, http://www.mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=527
2. ,,საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის– ევროპული ჩარჩო" –ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები; თბილისი 2006, გამოცემულია ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის (CTC) მიერ.
3. გრძელვადიანი სასწავლო კურსი სამოქალაქო განათლებაში, მოდული 3, 4; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, www.tpdc.ge
4. http://jemalisblogi.blogspot.com/
5. https://sites.google.com/site/schoolsubjectsinreallife/about-the-project
6. И.Ю. Малкова ,МЕТОД ПРОЕКТОВ, Методические материалы,Томск2006 http://www.edutopia.org/project-learning-schools-rally-together
7. ბასილაძე ი, ძოწენიძე ი. მასწავლებლის პედაგოგიური ხელოვნება, ქუთაისი, 2008, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. მეთოდი, ტექნიკა პროექტის მნიშვნელობაზე განათლებაში. Robert T .Hovell. Fort Hays სახელმწიფო უნივერსიტეტი. http://scholar.lib.vt.edu/ejournals/JITE/v40n3/howell.html